

“საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის
კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის“

დებულება

თბილისი

2016 წელი

“საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის“

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. “საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაცია“ არის არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამფუძნებელ წევრთა გადაწვეტილების საფუძველზე;
2. ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
3. ორგანიზაციის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება წესდებით და ამ დებულებით.

მუხლი 2. მიზანი

1. სამედიცინო სერვისის მიღებისას საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტზე ორიენტირებული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ამოცანები

1. სტანდარტების შემუშავების გზით სხვადასხვა ტიპის სამედიცინო და არასამედიცინო დაწესებულებებში ეპიდემიოლოგიური, ინფექციის კონტროლის და სანიტარულ-ჰიგიენური საქმიანობის დონის ამაღლება;
2. თანამედროვე ტიპის ეპიდემიოლოგიური საქმიანობის, ინფექციის კონტროლისა და დეკონტამინაციის სამსახურის, როგორც დარგის ჩამოყალიბება და განვითარება.
3. ეპიდემიოლოგიის, ინფექციის კონტროლის და სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებთან მიმართებაში სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის განვითარება;

4. კლინიკური ეპიდემიოლოგის და ინფექციის კონტროლის სპეციალისტის პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული ეთიკის ნორმების შექმნა;
5. ეპიდემიოლოგიის, ინფექციის კონტროლის და სანიტარულ საქმიანობასთან დაკავშირებული დიპლომისშემდგომი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა;
6. დამხმარე სამედიცინო პერსონალის მომზადება სერთიფიცირების პროცესისათვის და პრაქტიკულად განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
7. ეპიდემიოლოგიის, ინფექციის კონტროლის და სანიტარული საქმიანობის დარგში სამეცნიერო კვლევითი, სამუშაოებისა და პრაქტიკული ღონისძიებების გეგმის შემუშავება და კოორდინაცია საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
8. ეპიდემიოლოგიის, ინფექციის კონტროლის და სანიტარულ დარგში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების შესწავლა და ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში მათი დანერგვის ხელშეწყობა;
9. პაციენტის უფლების დაცვა - მიიღოს მომსახურება სუფთა და უსაფრთხო გარემოში სუფთა ხელებით;
10. დეკონტამინაციის თანამედროვე კონცეფციის შემუშავება, შემდგომში მისი პრაქტიკაში დანერგვისა და განვითარების მიზნით;
11. დეკონტამინაციის თანამედროვე სტანდარტებისა და ნორმატივების შემუშავება, დანერგვის ხელშეწყობა და მიღებული შედეგების ანალიზი და კონტროლი;
12. ამ მომსახურებისათვის საჭირო აღჭურვილობისა და საშუალებების შეფასება და პროპაგანდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
13. საგარეო ურთიერთობების დამყარება საზოგადოებრივ, პროფესიულ, სამეცნიერო, სამთავრობო და სხვა ორგანიზაციებთან.

მუხლი 4. ორგანიზაციის სტრუქტურა

1. ორგანიზაციის წევრები;
2. მმართველობითი ორგანო - ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება;
3. ორგანიზაციის პრეზიდენტი.

მუხლი 5. წევრები

1. ორგანიზაციას ჰყავს დამფუძნებელი წევრები და საპატიო წევრები, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის წესდებით და დებულებით განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს;
2. ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები შედიან ორგანიზაციის საერთო კრებაში და სარგებლობენ ხმის უფლებით (თითო დამფუძნებელ წევრს აქვს თითო ხმა). ორგანიზაციის საპატიო წევრები არ სარგებლობენ ხმის უფლებით, თუმცა მათ აქვთ უფლება მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის თაობაზე. მათი მონაწილეობა და ორგანიზაციის წევრად მიღების უფლებამოსილება აქვს ორგანიზაციის პრეზიდენტს.
3. ორგანიზაცია წევრებს (იგულისხმებიან წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საერთო კრებაზე) და საპატიო წევრებს იღებს ასოციაციის პრეზიდენტის წერილობითი მონაწილეობის და/ან წევრობის მსურველის პირადი განცხადების საფუძველზე (დანართი#1). განწევრების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - 3.1. დიპლომის ასლი;
 - 3.2. პირადობის მოწმობის ასლი;
 - 3.3. ავტობიოგრაფია ან CV
4. საბოლოო გადაწყვეტილებას წევრად მიღების შესახებ იღებს საერთო კრება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში;
5. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ორგანიზაციის საქმიანობას, საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის წესდებით დადგენილი მოვალეობანი;
6. ორგანიზაციიდან წევრის გარიცხვის უფლება აქვს საერთო კრებას. წევრის გარიცხვის საკითხი საერთო კრებას გადაეცემა ასოციაციის პრეზიდენტის მიერ. გადაწყვეტილება მიიღება კრების ორი მესამედის უმრავლესობით იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი ესწრება აღნიშნულ კრებას. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წესდებით გათვალისწინებული დარღვევების დაფიქსირებისას;

მუხლი 6. წევრთა უფლებები და ვალდებულებები

- 6.1. ორგანიზაციის წევრებს უფლება აქვთ:
 - 6.1.1. წარადგინონ წინადადებები იმ საკითხთა თაობაზე, რომელიც შედის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში;
 - 6.1.2. მოიპოვონ ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე;
 - 6.1.3. მიიღონ სრული ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების თაობაზე;
 - 6.1.4. მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის პროგრამებსა და პროექტებში;

6.1.5. ნებაყოფლობით დატოვონ ორგანიზაცია.

6.2. "ორგანიზაციის" წევრები ვალდებული არიან:

- 6.2.1. დაიცვან წესდება და დებულება და ორგანიზაციის მმართველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- 6.2.2. აცნობონ ორგანიზაციას საფოსტო მისამართის ან ადგილსამყოფელის შეცვლის თაობაზე ერთი თვის მანძილზე;
- 6.2.3. მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის საქმიანობაში.

მუხლი 7. მმართველი ორგანო

1. მართვის უმაღლესი ორგანოა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება
2. ორგანიზაციის საერთო კრებას იწვევს ასოციაციის პრეზიდენტი 3 თვეში ერთხელ მაინც, ან ნებისმიერ დროს, თუ აღნიშნული შედის "ორგანიზაციის" ინტერესებში. ამასთან, ასოციაციის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ იწვევს საერთო კრებას, თუ აღნიშნული წარმოადგენს წევრთა არანაკლებ 1/3-ის თხოვნას. აღნიშნული თხოვნა უნდა შეიცავდეს კრების მოწვევის მიზეზსა და შესაბამის დღის წესრიგს;
3. საერთო კრების ჩატარების შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით (რაც მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციის ფორმას) და უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს (იგულისხმებიან ორგანიზაციის ის წევრები, რომლებიც საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება აქვთ) კრების თარიღამდე ოცი (20) დღით ადრე მაინც;
4. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია შეიტანოს საკითხი დღის წესრიგში კრებამდე ორი კვირით ადრე, საერთო კრების ყველა წევრს უნდა ეცნობოს შეთანხმებული დღის წესრიგის თაობაზე;
5. საერთო კრებაზე თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა;
6. საერთო კრება გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე იღებს ხმათა 2/3 უმრავლესობით. წევრებს, რომლებიც არ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ მასში მონაწილეობა მიიღონ კრებისათვის წერილობითი შეტყობინებების გაგზავნით და მათი ხმები გაუთანაბრდება პირადად მიცემულ ხმებს.

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია

საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

1. ორგანიზაციის ასოციაციის პრეზიდენტის, წევრთა და ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა/გათავისუფლება;
2. ორგანიზაციის წევრთა მონვევა (გარდა ორგანიზაციის საპატიო წევრებისა, რომელთა მონვევის ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს ორგანიზაციის პრეზიდენტს) და გარიცხვა წინამდებარე წესდების შესაბამისად;
3. ორგანიზაციის საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება;
4. ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტასთან (ლიკვიდაციასა ან რეორგანიზაციასთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ამგვარი გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ერთიანობას.
5. ორგანიზაციის სხვადასხვა პროექტებისა და შესრულების ანგარიშების შემუშავება;
6. ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტის შედგენა, საწევროების ოდენობის განსაზღვრა და მათი გადახდის პრინციპების შემუშავება;
7. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
8. ორგანიზაციის დებულების, წესების, პროცედურების და სხვა ნორმატიული დოკუმენტების დამტკიცება;
9. ფილიალებისა და სხვა განცალკევებული ერთეულების დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, მათი წესდებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცება;
10. ორგანიზაციის ქონებრივი უფლებების/ინტერესების ნებისმიერი ფორმით განკარგვა.

მუხლი 9. ასოციაციის პრეზიდენტი

1. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის მართვისათვის, საერთო კრება აირჩევს ორგანიზაციის შემდეგ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე - ასოციაციის პრეზიდენტს;
2. ასოციაციის პრეზიდენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია და გააჩნია შემდეგი მმართველობითი უფლებამოსილებანი:
3. წარმოადგენს ორგანიზაციას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;
4. ორგანიზაციაში იღებს საპატიო წევრებს, მისი წერილობითი მონვევის საფუძველზე;
5. იწვევს საერთო კრებას;
6. უზრუნველყოფს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
7. ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, წარმართავს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს;
8. განსაზღვრავს ორგანიზაციის სამუშაო ძირითად პრინციპებს და იღებს გადაწყვეტილებებს მისი ყოველდღიური საქმიანობის სფეროში;

9. ხსნის ანგარიშს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს ფინანსურ და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;
10. იწვევს, უფლებამოსილებას უწყვეტს ან გარიცხავს ორგანიზაციის წევრებს;
11. ახორციელებს ორგანიზაციის წესდებით და შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახის საქმიანობას.

მუხლი 10. ორგანიზაციის ქონება

1. მიზნობრივი შემონიშნულობები;
2. გრანტის თანხები;
3. წილები სხვა საწარმოებში, სამეწარმეო მიზნებით შექმნილების ჩათვლით;
4. სხვა წყაროდან მიღებული შემოსავალი, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 11. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია ხორციელდება წესდებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
2. ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის პრეზიდენტი ან დანიშნული ლიკვიდატორი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 12. ცვლილებები და დამატებები

წესდებაში და დებულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა დასაშვებია ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანმდევნი პროცედურის გათვალისწინებით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

1. დებულებას ამტკიცებს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება ხმათა 2/3 უმრავლესობით;

2. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხდება საერთო კრების გადწყვეტილებით.